საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-333

17/04/2019

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, შპს „ახალი თბილისის“ 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ავშნიანი 1-2”-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა), მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ქ. თბილისში, შპს „ახალი თბილისის“ 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ავშნიანი 1-2”-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა), მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №29; 28.02.2019წ;

2. შპს „ახალი თბილისი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №29; 28.02.2019წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ახალი თბილისს“

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ახალი თბილისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანი-ნაძალადევის რაიონის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ლევან დავითაშვილი

მინისტრი